# გარე აკუმულატორი Shadow 10PQD
# მომხმარებლის სახელმძღვანელო

მადლობას გიხდით Shadow 10PQD -ის გარე აკუმულატორის შეძენისათვის. გამოყენების წინ, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ინსტრუქციას.

## სპეციფიკაციები:

| | |
|---|---|
| ბატარეის ტევადობა | 10000 მა/ჩ |
| ბატარეის ტიპი | ლითიუმ-პოლიმერი |
| შემავალი ძაბვა, დენის ძალა | Micro USB: 5B/2A, 9B/2A, 12B/1.5A<br>USB Type-C: 5B/2A, 9B/2A, 12B/1.5A |
| გამომავალი ძაბვა, დენის ძალა, USBx2 | 5V/3A, 9V/2A, 12V/1.5A, 4.5V/5A, 5V/4.5A |
| გამომავალი ძაბვა, დენის ძალა, Type-C | 5V/2.4A, 9V/2.22A, 12V/1.67A, 4.5V/5A, 5V/4.5A |
| გარე კორპუსი | პლასტიკური |
| ზომა, მმ | 140 x 69 x 16.5 მმ |
| წონა, გ | 190 გ |
| გარე აკუმულატორის დამუხტვის დრო | 5-6 ს |

## კომპლექტაცია

1. გარე აკუმულატორი — 1 ც.
2. ინსტრუქცია — 1 ც.
3. USB Type C კაბელი — 1 ც.

## გარეგნობა




| ნომერი | დასახელება | აღწერა |
|---|---|---|
| 1 | ჩამრთველი ღილაკი | დააჭირეთ გარე აკუმულატორის ჩასართავად. გარე |
| 2 | USB გასასვლელი 1 | მოწყობილობების გარე აკუმულატორით დამუხტვის გასართი |
| 3 | USB Type-C შესასვლელი | კვების გარე წყაროთი გარე აკუმულატორის დამუხტვის გასართი |
| 4 | Micro USB შესასვლელი | კვების გარე წყაროთი გარე აკუმულატორის დამუხტვის გასართი |
| 5 | USB გასასვლელი 2 | მოწყობილობების გარე აკუმულატორით დამუხტვის გასართი |
| 6 | ეკრანი | აჩვენებს გარე ბატარეის დატენვის დონეს |

## გარე აკუმულატორის დამუხტვა

მიაერთეთ დამუხტვის კაბელის ერთი ბოლო კვების წყაროს: ადაპტერს*, ან  კომპიუტერის USB პორტს, ხოლო მეორე ბოლო გარე აკუმულატორის შემავალ პორტს:



** შენიშვნა: დამუხტვის მოწყობილობა არ შედის კომპლექტში და უნდა იქნას შეძენილი ცალკე.*

## მოწყობილობების გარე აკუმულატორით დამუხტვა

თქვენი მოწყობილობების გარე აკუმულატორით დამუხტვის მიზნით გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი კაბელი. დამუხტვის დასაწყებად საჭიროა ჩართოთ გარე აკუმულატორი. დამუხტვის პროცესი მითითებულია ინდიკატორებით. მიაერთეთ დამუხტვის კაბელის ერთი ბოლო გარე აკუმულატორის გამომავალ პორტს, ხოლო მეორე ბოლო თქვენი მოწყობილობის შემავალ პორტს (Apple ან Android):



## გარე აკუმულატორის ჩართვა და გამორთვა

გარე აკუმულატორის ჩასართავად დააჭირეთ ჩამრთველ ღილაკს ან მიაერთეთ თქვენი მოწყობილობა გარე აკუმულატორი. გარე აკუმულატორის გამოსართავად, დააჭირეთ და არ გაუშვათ  ჩამრთველ ღილაკი სამი წამის განმავლობაში.

## აკუმულატორის დამუხტვის ჩვენება

გარე ბატარეის მუხტის საჩვენებლად, იგი აღჭურვილია დისპლეით, რომელიც აჩვენებს მოწყობილობის მაქსიმალური დატენვის სიმძლავრის პროცენტს.

**ყურადღება:** დატენეთ გარე აკუმულატორი, როცა დატენვის დონე 25%-ზე ნაკლებია. აკუმულატორის სრულად დამუხტვისას, ოთხივე ინდიკატორი ანატებული იქნება. აკუმულატორი დაცულია გადატვირთვისგან. დაცვის რეჟიმი ირთვება ზედმეტი დამუხტვის, ღრმა განიმუხტების, ჭარბი დინება და მოკლედ შერთვის საფრთხის შემთხვევაში.

სამუშაო ტემპერატურა – 2-დან 40°C-მდე; შენახვის ტემპერატურა –10- დან 45°C– მდე.

## დამუხტვის მოწყობილობის ჩართვის/გამორთვის ინდიკაცია

ინდიკაცია ავტომატურად ირთვება, როცა სხვა მოწყობილობა უკავშირდება გარე აკუმულატორს. მოწყობილობის გამორთვისას ხუთ წამში ითიშება ინდიკაციაც, თუ სხვა მოწყობილობა არ არის შეერთებული.

აუცილებელია გარე აკუმულატორის დამუხტვა, თუ ის არ რეაგირებს ღილაკის დაჭერაზე ან სხვა მოწყობილობებთან შეერთებაზე.

**შენიშვნები უსაფრთხოების შესახებ:**

აუცილებელია ბლუთუზ მოწყობილობებით სარგებლობის წესების დაცვა თვითმფრინავებში, სამკურნალო დაწესებულებებში, ავტოგასამართ სადგურებში, ქიმიურ წარმოებებზე და მსგავს ადგილებში, სადაც არსებობს უსადენო კავშირის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, დაკავშირებულები მათ მიმართ მგრძნობიარე დანადგარებისათვის დაბრკოლების შექმნასთან და საწვავი მასალების არსებობასთან.

უსადენო მოწყობილობა შეიძლება გახდეს კავშირგაბმულობის სხვა მოწყობილობების, მათ შორის ჩვეულებრივი ტელეფონების, ტელე- და რადიო მიმღებების, საოფისე მოწყობილობების მუშაობის შეფერხების მიზეზი.

**დიდი ხნის განმავლობაში მუსიკის ხმამაღალმა მოსმენამ შესაძლოა გამოიწვიოს სმენის დაქვეითება.**

აღნიშნული მოწყობილობის კვება ხორციელდება სპეციალური აკუმულატორიდან. მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება ქმნის აალების, აფეთქების და სხვა საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის საფრთხეს. გთხოვთ, სათანადოდ გამოიყენოთ აკუმულატორი.

აკრძალულია აკუმულატორის დაშლა, გახსნა, მოღუნვა, გახვრეტა, მასზე მექანიკური ზემოქმედება ან მისი სითხეში მოთავსება. დაზიანების შემთხვევაში, აკუმულატორი შესაძლოა აფეთქდეს. აკუმულატორიდან ელექტროლიტის გაჟონვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოიბანეთ დაზიანებული უბანი სუფთა წყლით და მიმართეთ ექიმს დახმარებისთვის. ბატარეიდან მომავალი უცნაური სუნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ განათავსეთ იგი უსაფრთხო ადგილას, ღია ცეცხლისგან მოშორებით.

დაზიანებული აკუმულატორის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული ტრავმები.

**არ გადაყლაპოთ!**

**მოარიდეთ ბავშვებს!**

არ დატოვოთ სრულად დამუხტული აკუმულატორი მიერთებული. დასამუხტ მოწყობილობაზე ამან შესაძლოა შეამციროს აკუმულატორის ექსპლუატაციის ვადა. გამოუყენებლობის შემთხვევაში, აკუმულატორი განიმუხტება.
არ დაშალოთ მოწყობილობა, არ დაუშვათ მოკლე ჩართვა. მიაქციეთ ყურადღება აკუმულატორის ლითონიური კონტაქტების სისუფთავეს.
არ დატოვოთ და არ შეინახოთ მოწყობილობა ავტომობილში ცხელ ამინდში, მზის სხივების ქვეშ. ამან შესაძლოა გამოიწვიოს აკუმულატორის გადახურება, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბატარეის მუშაობის ვადის შემცირებას. მუშა ტემპერატურის ნორმების (-10°C-ზე ნაკლები და 45°C-ზე მეტი) დარღვევით გამოყენების შემთხვევაში, მოწყობილობა შესაძლოა გამოირთოს ან მოცულობა არასრულად დაიხარჯება.

გადაამუშავეთ აკუმულატორი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან განცალკევებით.
პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, ნებისმიერ მანძილზე მწარმოებელი საწარმოს შეფუთვაში.

**სავაჭრო ნიშანი AccessStyle-ის ნაკეთობების გარანტიის პირობები**

1. ქვემოთ მოცემული ყველა საგარანტიო პირობა მოქმედებს სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობის მარეგულირებელი რუსეთის ფედერაციის მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
2. ნაკეთობის გარანტიის ვადის აითვლა იწყება მისი თავდაპირველი შეძენის მომენტიდან და შეადგენს 1 (ერთი) წელს.
3. ნაკეთობის ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს და მისი ათვლა იწყება შეძენის თარიღიდან ან მისი არ არსებობის შემთხვევაში - წარმოების თარიღიდან.
4. გარანტია არ ვრცელდება:
   4.1. კაბელებზე, გადამყვანებზე, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლებზე (დისკები, მეხსიერების ბარათები ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფით), შალითებზე, დამაგრძელებელ სადენებზე, სამაგრებზე, შეფუთვასა და დოკუმენტაციაზე.
   4.2. ნორმალურ ცვეთასა ან ნაკეთობის გარეგან დაზიანებაზე.
   4.3. გაუმართაობაზე, რომელიც გამოწვეულია: ტენით, ექსტრემალური ტემპერატურით, ზემაღალსიხშირული ენერგიით, წნევით, დარტყმით, მწერების, ცხოველების ზემოქმედებით, სითხის, საკვებით, მტვრით და ქიმიკატების შეღწევით, გამოწვეულ დეფექტებზე.
   4.4. სხვა პირების მიერ შეკეთებულ ან მოდიფიცირებულ ნაკეთობაზე (გარდა მე-5 პუნქტში მითითებული პირებისა).
   4.5. ნაკეთობაზე, რომლის გამოყენებაც მოხდა არადანიშნულებისამებრ და აგრეთვე მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული ექსპლუატაციის წესების დარღვევით.
   4.6. ხარვეზებზე, რომლებიც გამოწვეულია არათავსებადი მოწყობილობების ან აქსესუარების გამოყენებით.
5. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება ამაზე უფლებამოსილი ორგანიზაციების - ავტორიზებული სერვის-ცენტრების მიერ, რომელთა სიაც მოცემულია http://www.accesstyle.ru საიტის მხარდაჭერის გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია ნომერზე 8-800-250-07-17. გარანტიის მოქმედების განმავლობაში, ქარხნული ხასიათის ხარვეზის აღმოფხვრა ხდება მყიდველისათვის უფასოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი წარმოადგენს შევსებულ საგარანტიო ტალონის ორიგინალს ან/და დოკუმენტებს, რომლებიც

ადასტურებენ შესყიდვის ფაქტს და თარიღს (სალაროს ჩეკი). წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შეძენილი ნაკეთობის მოდელის დასახელებას, გაყიდვის თარიღს და სავაჭრო ორგანიზაციის რეკვიზიტებს. მითითებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს საგარანტიო მომსახურების გაწევაზე.

6. საგარანტიო ვადა გრძელდება მომსახურების პერიოდზე. მაკომპლექტებელი, შემადგენელი ნაწილების ან მთლიანად ნაკეთობის შეცვლა არ იწვევს ახალი საგარანტიო ვადის დაწესებას მთელ ნაკეთობაზე და შეცვლილ ნაწილებზე.
7. არავითარ გარემოებაში, მწარმოებელი, იმპორტიორი და მათ მიერ უფლებამოსილი ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებლები რაიმე სახის განსაკუთრებულ, შემთხვევით, პირდაპირ ან ირიბ ზიანზე ან ზარალზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ჩამოთვლილზე: მიუღებელ სარგებელზე, ინფორმაციის ან და მონაცემების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასეთი ინფორმაციის ან მონაცემების აღდგენაზე დახარჯულ სახსრებზე, დანაკარგზე, რომელიც გამოწვეულია AccesStyle ნაკეთობების კომერციული, საწარმოო ან სხვა ტიპის საქმიანობისას სრულად, ნაწილობრივ ან შეფერხებებით გამოყენებით.

**საგარანტიო ტალონი**

ნაკეთობის შეძენისას, მოითხოვეთ მისი შემოწმება თქვენი თანდასწრებით და საგარანტიო ტალონის შევსება. საგარანტიო ტალონის წარდგენის გარეშე ან მისი არასწორად შევსების შემთხვევაში, ნაკეთობის ხარისხთან დაკავშირებული საჩივრები არ მიიღება და საგარანტიო მომსახურება არ განხორციელდება.

---

ნაკეთობის დასახელება: ______________________________________________

სერიული ნომერი: ____________________________________________________

გაყიდვის თარიღი: ___________________________________________________

გამყიდველის ხელმოწერა: _____________________________________________

სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება და მისამართი: _______________________

---

---

**გამყიდვლის ბეჭედი**

ნაკეთობის შემოწმება მოხდა ჩემი თანდასწრებით,პრეტენზია არ გამაჩნია. ნაკეთობა მივიღე სრული კომპლექტაციით და მომხმარებლის სახელმძღვანელოსთან ერთად; გარანტიის პირობებს გავეცანი და ვეთანხმები.

____________________________________________მომხმარებლის ხელმოწერა